№ 73 22 აპრილი, შაბათი 1866—1878 22 აპრილი, შაბათი № 78

ᲧᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲦᲔᲒᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaловгви სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaловгви სახლში, № 8.

ᲬᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲕᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 18 აპრილს. ამერიკის შტატის მენის ნავსადგურში საუტვესტ-ბარბარში მოვიდა ხომალდი „Симбрія,“ რომელიც, კაპიტანის ბადენგაუზენის სიტყვით, დაჭერილია რუსის მთავრობისაგან და რომელმაც შინლანდიიდამ წამოიყვანა 600 კაცი ჰალუბაზე და 63 კაიუტში. ეს ხომალდი 20 აპრილს გამოსულა ბალტიის ნავსადგურიდამ და გაუელია შოტლანდიის ჩრდილოეთ ნაპირებზე. კაპიტანი ბადენგაუზენი ყოფილა კაიუტის ერთი პასაჟირის ხელ-ქვეთ, რომლისაგანაც მიუღია ბრძანება, რომ საუტვესტ-ბარბარისაკენ წაემართა ხომალდი. დანიშნულ ადგილზე რომ მივიდნენ, ხომალდიდამ კაცი არ გამოსულა, კაპიტანსა და იმ პირს გარდა, რომელიც ბრძანებლობდა ამ ხომალდზე. ეს პირი, როგორც ეტყობა, რუსის ფლოტის აფიცერი უნდა იყოს. ამ სამხედრო ხომალდის პასაჟირები არიან 600 ზღვის სალდათი და 69 აფიცერი, რომელნიც ემორჩილებიან გრაფ ზროენნბურგს. ამან გაგზავნა პეტერბურღში შიფრით დაწერილი დეპეშა ადმირალის ლისოვსკის სახელობაზედ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ, რადგან ინგლისი და რუსეთი ორივე ერთმანეთის დასწრებით ცდილობენ, რომ ოსმალეთთან პირობა და კავშირი შეჰკრანო, ამის გამო ახლანდელმა ოსმალეთის პირველმა მინისტრმა სადიყ-ფაშამ ურჩია ხონთქარსაო, რომ ჯერ-ჯერობით არცერთ ამ სახელმწიფოს არ შეეკრას არავითარი პირობითაო.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ კი ცხადია ახლა, რომ, თუ რუსეთსა და ინგლისს შუა ომი ატყდა, ოსმალეთი უეჭველად ინგლისს მიემხრობა. ახლაც, როგორც ამბობენ, მთელი ოსმალეთის ფლოტი და საზოგადოთ იმის სამხედრო ძალა ინგლისის განკარგულებაში არისო.

—

მეორე მხრით ნემეცურ გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია ლონდონიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ინგლისს შეუკრავს ოსმალეთის მთავრობასთან საიდუმლო პირობა, რომლის ძალითაც, თუ საჭირო იქნება, ოსმალეთმა 75,000 კაცი უნდა ათხოვოს ინგლისს.

ᲐᲛᲐᲕᲔ გაზეთის სიტყვით, სამხრეთ საბერძნეთში—პირეიში ინგლისს დიდძალი ტყვია-წამალი და სამხედრო სურსათი აქვს დამზადებული.

—

„ჰავასის საგენტოში“ იწერებიან ნიუ-იორკიდამ, რომ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ სხვა-და-სხვა შტატებში ინგლისის მმართველობისაგან გამოგზავნილი კაცები მუდამ დღე უკანასკნელ 200 ცხენს ჰყიდულობენ და ინგლისში აგზავნიანო; სულ 18,000 არტილლერიის ცხენი უნდა იყიდონო.

—

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ყოფილა ამას წინათ რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარ მიტინგი (კრება), რომელსაც გადაუწყვეტია, რომ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ინგლისის ეოლლონტერები (თავის ნებით გამოსული ჯარი) ინგლისის სამხედროს გარეთაც უნდა გავიდნენ მტერთან საბრძოლველადაო.

—

რუსეთის ზღვის სამინისტროს განკარგულებით, ყველა აფიცრები და სალდათები, ვინც ამ სამინისტროში მსახურებენ და ვინც დროებით დათხოვნილი არიან, უნდა დაუყოვნებლივ გამოცხადნენ და თავიანთ პოლკებში ჩაეწერნენ.

—

„პოლიტიკური კორრესპონდენცია“ გვაცნობებს, რომ ოსმალეთის ფლოტის ვიცე-ადმირალი ზობარტ-ფაშა თავის მთავრობის მინდობილობით ლონდონში წასულა.

—

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐᲛ გვაცნობა, რომ დ. Მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ავათმყოფობის გამო დაუთხოვნიათ დუნაის არმიის მთავარ-სარდლობისაგან და იმის მოადგილეთ დანიშნეს ღენ. ტოტლებენი. ᲐᲛᲐᲕᲔ მიზეზით, როგორც ამბობენ, მიუტოვებია თავის თანამდებობა ამ არმიის მთავარ შტაბის უფროსს ღენ. ნეპოკოიჩიცკის, რომლის ნაცვლადაც დაუნიშნავთ ღენ. თ. ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲜᲡᲙᲘ.

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ფრანცუზულს „ჟურნალ დე დებაში“ დაბეჭდილია შესანიშნავი სტატია ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელშიაც ბერმანიის შუამდგომლობაზე შემდეგი სიტყვებია ნათქვამი:

„მხოლოთ მოკლე ჭკუის კაცებს ჰგონიათ, რომ ბერმანია ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ ზრუნავს, რომ იმას ჰსურს ახალი ომი ააცილოს თავიდან ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ და მშვიდობიანობა დაამყაროს. პირველი და უკანასკნელი განზრახვა ბერმანიისა მარტო ის არის, რომ ხელ-ახლად გაამაგროს ცოტათი შერყეული „კავშირი სამი იმპერატორისა“—რუსეთის, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡᲐ და ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ, და მხოლოთ ამათ ჰქონდესთ ძალა და საშუალება ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ბატონობისა.“

—

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ბერლინიდამ მიღებული დეპეშა:

„ბერმანიის შუამავლობამ უნამყოფოდ ჩაიარა. ინგლისი თხოულობს, რომ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ კონგრესს მიეცეს უფლებაო, რომ სან-სტეფანოს მორიგების ყველა მუხლები გადახედოს და, თუ საჭიროდ დაინახავს, კიდეც შესცვალოსო. ᲐᲛᲘᲡ გამო ბერმანიამ ხელი აიღო რუსეთსა და ინგლისს შორის შუამავლობაზედ.“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲐᲕ რამდენიმე დღის წინათ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მოიყვანეს სტამბოლიდამ დაბრუნებული ჩვენი ტყვეები; როგორც გავიგონეთ, სულ 230 კაცია.

ᲐᲛᲗᲨᲘ ურევია რამდენიმე გურული, მეგრელი და სხვები, რომელნიც ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲗᲐᲜ ბრძოლის დროს დაუტეეებიათ ოსმალოებს; მომეტებული ნაწილი კი რუსები არიან ᲑᲐᲘᲐᲖᲗᲘᲡᲐ და საზოგადოთ მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ ბრძოლის ველიდამ ტყვედ წაყვანილნი.

ᲔᲡᲔᲜᲘ ამბობენ, რომ სტამბოლში მისვლამდინ ბევრი შიმშილი, სიცივე და წვალება გამოვიარეთო, იქ კი კარგათ გვეელიდნენო; ერთხელ თვითონ ხონთქარს დაუხედავს ესენი და თითოეულ ტყვესავთის თავის ხელით თამბაქო დაურიგებია.

*** ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის სხვა-და-სხვა ალაგებიდამ მოგვდის ამბავი, რომ იმ წვი-

მებმა, რომელიც ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში იყო, ძალიან ბევრი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ყანებს, ვენახებსა და ბოსტნებსაო. ასე რომ წელს ყველგან კარგ მოსავალს მოელიან, თუ სეტყვა, გვალვა ან სხვა რამ ამგვარი ბუნების მოვლენა არ გვესტუმრაო.

მაგრამ სიძვირეს მაინც ვერ ავიცილებთ წელს თავიდამ, რადგან საქონლის ჭირისაგან ხალხი ძალიან შევიწროებულია.

*** სამხედრო სამართლის განაჩენით ოც-და-ათი კაცი, რომელნიც დაღესტნის უკანასკნელ აჯანყებაში მოთავეთ ითვლებოდნენ, უკვე ჩამოაღრჩვეს ბროზნაში. ამ ჩამოხრჩობილებში ურევია, სხვათა შორის, შამა-დუევი და ალი-ბეკი. ამას გარდა სამართლისა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით 3,500 კაცამდინ არის გაგზავნილი დაღესტნიდამ და ჩეჩნიდამ თუ ციმბირში და თუ რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებში დასასახლებელად. რამდენიმე კაცი კიდევ უნდა ჩამოაღრჩონ.

*** თფილისში შესდგა და დამტკიცდა „კავკასიის ალპიის კლუბი“, რომლის დანიშნულება, როგორც სხვა ამ გვარ ევროპის და ამერიკის საზოგადოებისა, ის არის, რომ გაიცნოს ყოველმხრივ ადგილობრივი ბუნება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მთების ბუნებას: ჰავას, მცენარეებს, ცხოველებსა და სხვ.

*** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი ბრძანება:

„ხელმწიფე იმპერატორმა იმ ჩინებული მხნეობისა და მამაცობისათვის, რომელიც ოსმალოებთან ბრძოლის დროს გაბოიჩინა 1877 წელს ზაფხულში სვიტის ღენერალ-მაიორმა თ. ნესტორ წერეთელმა, ინება იმის დასაჯილდოებლად ბოძება წმ. ვლადიმირის ორდენის მეორე ხარისხისა.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ოსეთი, 9 აპრილს. „დროების № 58-ში წავიკითხე ოზურგეთიდან მიღებული კორესპონდენცია, რომ ერთი მღვდლის დაუდევრობით ორ საზოგადოებაში დიდი ზარალი მოხდა საქონლის ჭირითაო, და ეს მღვდელი უნდა დაისაჯოს 15 დღის ნაობახტითაო, როგორც გადაწყვეტია მომრიგებელ მოსამართლეს.

ამ შემთხვევის გაგონებამ მეც მომაგონა განვაცხადო ჩვენი ქვეყნის (ვლადიკავკასის ოკრუგის) უწესოებაც შესახებ საქონლის ჭირისა.

ის საწყალი მღვდელი, რომელიც მაგალითად მოჰყავს გურულს, ისჯება მხოლოთ მისთვის, რომ, დაუდევრობისა გამო, ჭირიანი ხორცი გადაყარა და იმითი ჭირი გაჩნდა და ორ საზოგადოებას დიდი ზარალი მისცა; აქ კი ჭირიან ხორცს არამთუ გადაგდებენ, კიდენაც ისე მიირთმევენ, როგორც კარგ მწიფე მარწყვს. საქონელი როგორც მიდგება სიკვდილზე, მაშინვე დაკლამენ, გაატყავებენ და ისე ხმარობენ, როგორც უტკივარი საქონლის ხორცს და ტყავს, სრულებით არ ერიდებიან. ასე წარმოიდგინეთ, რომ ერთ სოფელში რომ გაჩნდება, მეორე სოფლიდამ მოდიან: ყიდულობენ, სესხულობენ, ანუ საჩუქრათ მიაქვთ.

ამ ნაირათ დღეს ძღებიან, მაგრამ ხვალ თითონ უჩნდებათ და თვითეული მოსახლე ზარალობს.

ახლა იფიქრეთ—რა უნდა ეღიროს იმტელი ხარი და ძროხა? რო ვინმე ურჩევთ კეთილის გულით, რომ თავი უნდა დაიცვან რაიმე საშვალებით, მაშინ მათი პასუხი ეს არის:

— „საქონელი მეზარალება და ტყავი და ხორციც არ მოვიხმარო! ღმერთს და იმის საქმეს ვინ დაემალება!“

ამნაირ აზრით და მოქმედებით იღუპება ოსეთი ამჟამად. წელს ერთი სოფელი არ გაუშვია, რომ არ სწვეოდეს ეს ჭირი, ზოგს ორჯერ-სამჯერაც მიუბრუნდა და წამლათაც აღარსად გაუშვა საქონელი და დღესაც რამოტელიმე სოფლებში სწყვეტავს.

ჭირიან ხორცს რომ მავნებელი თვისება არ ქონდეს არ იქნება; მე თვითონ დაუკვირდი და დავწერშუნდი, რომ ძაღლები, რომელნიც სჭამენ ჭირიან ხორცს, ძრიელ დახდნენ.

ამ საქონლის ჭირის თაობაზე ჩემის თვალით ვნახე რამოდენიმე მოწერილობა მამასახლისებთან ოკრუჟნის ნაჩალნიკისაგან, მაგრამ უკანასკნელები ყურადღებას არ აძლევენ და თითონაც ამნაირად ჩადიან, როგორც სხვანი.

ოსი

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

უცხო ქვეყნის გაზეთებში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ამ ყამად ბამბეტას წასვლაზედ ვენაში და, როგორც ამბობენ, ბერლინშიაც. იწერებიან, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს, რომ ამ ევროპის საქმეების დახლართვით ისარგებლოსო, გერმანიას პირობით შეეკრასო, რომ, თუ ალზასსა და ლოტრანგიას დაუბრუნებს, ის არ მიიღებს მონაწილეობას იმ მომავალ ბრძოლაში, რომელშიაც შეიძლება გერმანიაც იძულებული იქნება ჩაერიოს.

წინალმდეგ შემთხვევაში, ე. ი., თუ გერმანია წინათვეარ მოურიგდა საფრანგეთს, მაშინ ის უეჭველად მიემხრობა ინგლისს და ამით მოინდომებს იმის დაბრუნებას, რასაც ნებით არ მისცემსო.

ამბობენ, რომ სწორეთ ამ ჰაზრით წავიდა ბამბეტა ვენაში და ამ განზრახვით მიდის ის ბერლინშიაცაო.

ოსმალეთი

„ქელნის გაზეთში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ოსმალოეთის სოფტებს (სტუდენტებს) გადწყვეტილი აქვთ რომ, თუ ვინიცობა ინგლისს არ მიეხმრეს, მაშინ ამას გადაყენებენ ტახტიდამ და მითხად-ფაშას მოიწვევენ სახელმწიფო საქმეების დროებით გამგებოად.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 25 აპრილს, უპრავის თანადასწრებით, დანიშნულია, მხოლოთ ერთხელ, ვაჭრობა არენდათ (იჯარით) მიცემისათვის იმ საქალაქო მიწისა, რომელიც შეიცავს 5,000 ოთხ-კუთხ საჟენ მიწას და რომელიც მდებარებს ქუჯიაში, აეჭალის გზაზე, რკინის გზის სტანციის პირ-და-პირ.

ეს ადგილი გამოსადეგია ოჯახობისათვის.

მსურველმა თხუთმეტი წლის ვადით უნდა აიღოს ეს ალაგი იჯარითა.

(3—2)

ვისაც ჰაურს იყიდოს ხმელი **საშენებელი ტყე**, ფიჭვისა და ნაძვის, ფიცრები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყიევის სადგომში, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. ფიცრების გამოტანა ამ წლის 1 მაისიდამ დაიწყება

(2—2)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ, იმის თანადასწრებით, ამ 10 მაისს იქნება მხოლოთ ერთხელ **ვაჭრობა ქალაქის 1300 ფანრის ნავთით განათებისა იჯარით მიცემაზედ.**

მსურველს შეუძლია პირადათ განაცხადოს ქალაქის გამგეობაში თავის პირობები (ფასები) ვაჭრობის დროს; შეიძლება აგრეთვე დაბეჭდილი კანვერტით წარდგენა თავის პირობებისა.

ქალაქის გამგეობისაგან შედგენილი კონდიციები (პირობა) მსურველს შეუძლიან ნახოს უპრავაში მუდამ დღეს უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Апрѣля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი